



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49.492401013

თარიღი:10/01/2024

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე გელა თათარაშვილის დანიშვნის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 27 დეკემბრის №ბ49.49213611 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #28 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნეს ცვლილება - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე გელა თათარაშვილის დანიშვნის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 27 დეკემბრის №ბ49.49213611 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გელა თათარაშვილი - დანიშნული იქნეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, განუსაზღვრელი ვადით და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 3059 ლარის ოდენობით.“

2. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ.№11).

თეიმურაზი ჭემიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

